დააპროექტე ობიექტი, რომელსაც ერთად ავაშენებთ გრემში

რა არის სემინარი SO EAS+Y

SO EAS+Y სემინარს ორგანიზებას უწევს ვარშავაში არსებული განვითარების პოლიტიკის ფონდი. პროგრამის მონაწილეები არიან არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტები საქართველოდან. ღონისძიების ჩატარების ადგილია გრემი. სემინარის მიზანია სივრცული პროექტის განხორციელება - არტ ინსტალაცია, როგორც ინკლუზიური არქიტექტურის მუდმივი ნიშა გრემში.

პროექტის შესახებ

პროექტს ახორციელებს განვითარების პოლიტიკის ფონდი www.fpr.org.pl პოლონეთის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გრანტის საშუალებით. გრანტი მოპოვებულია პროგრამის „პოლონეთის კულტურის პოპულარიზაცია საზღვრებს გარეთ პრომესა 2016“ ფარგლებში.

პროექტის ფარგლებში განხორციელდება არქიტექტურული ვორკშოფები პოლონეთის ახალგაზრდა და დამსახურებული არქიტექტურული სტუდიის მონაწილეობით, რომელიც მუშაობს სოციალური ინკლუზიის პრობლემაზე და შეზღუდული შესაძლებლობების პირთა კულტურული ჩართულობის პოპულარიზაციაზე. არქიტექტორების სტუდია შესთავაზებს და განახორციელებს საჯარო სივრცეში ინტერვენციას მათი მიღწევებისა და "დიზაინის ფილოსოფიის" გამოყენებით, რომლის ბენეფიციარებიც იქნებიან კულტურულ ღონისძიებებში ჩართულობას მოკლებული ადამიანები: ხანდაზმულები, ბავშვები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები.

სემინარები იქნება საწყისი ეტაპი დისკუსიისა საქართველოს თანამედროვე კულტურაზე, მის რეალურ ხელმისაწვდომობასა და ჩართულობაზე საზოგადოებრივი სივრცის კონტექსტში.

სემინარები დაფინანსებულია პოლონეთის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პროგრამის „პოლონეთის კულტურის პოპულარიზაცია საზღვრებს გარეთ პრომესა 2016“ ფარგლებში.

ამ მიზნის განხორციელებისთვის, მოწვეულნი იქნებიან პოლონეთის ახალგაზრდა არქიტექტორები, რომლებსაც გააჩნიათ მდიდარი გამოცდილება დიზაინსა და დიდაქტიკაში. ვიმედოვნებთ, რომ მათი დახმარებითა და მხარდაჭერით 2016 წელს დაგეგმილი სემინარები, რომლებიც პირველად ჩატარდება საქართველოში მომავალში მოიცავს სხვა ქვეყნებსაც და მოიპოვებს საერთაშორისო ხასიათსა და პრესტიჟს.

გუნდი

+48 არქიტექტურა

გუნდი 2016 წლიდან მუშაობს ფართო სპექტრის პროექტებზე და დაპროექტებასთან დაკავშირებულ აქტივობებზე. საქმიანობის სფერო არქიტექტურას, ინტერიერის დიზაინსა და დაგეგმარებას მოიცავს. ამას გარდა, გუნდის წევრები პრომოუშენსა და ჟურნალისტურ საქმიანობასაც ეწევიან. ამასთან, გუნდი აპროექტებს საბავშვო ვორკშოპებს და ცდილობს იყოს აქტიურად ჩართული პოლონეთის საზოგადოებრივი სივრცის და არქიტექტურული მდგომარეობის დისკუსიებში.

ჯგუფის ძირითად ბირთვს ახლგაზრდა არქიტექტორები წარმოადგენენ: აგატა ფილიპეკი (არქიტექტურის მაგისტრი. 2006), კაროლ სპარკოვსკი (არქიტექტურის მაგისტრი 2006), კამილ მიკლაზევსკი (არქიტექტურის მაგისტრი 2004).

საქველმოქმედო კავშირი "თემი"

საქველმოქმედო კავშირი "თემი" არის სოციალურად დაუცველ პირთა საზოგადოება გრემში - სათემო ორგანიზაცია საქართველოში, სადაც შესაძლებლობაშეზღუდულ ადამიანებთან ერთად, ერთ ოჯახად ცხოვრობენ უსახლკარონი, მოხუცები, მარტოხელა დედები. ეს არის ზრუნვის ცენტრი და სოციალურად გარიყულთა სახლი. ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის, თემის მაცხოვრებელთა - თემის წევრების - ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად და

სემინარები დაფინანსებულია პოლონეთის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პროგრამის „პოლონეთის კულტურის პოპულარიზაცია საზღვრებს გარეთ პრომესა 2016“ ფარგლებში.

სოციალური გაძლიერებისთვის თემი აწარმოებს 100% კახურ ნატურალურ საკვებ პროდუქტს და ქვევრის ორგანულ ღვინოს.

ორგანიზაცია მუშაობს 1990 წლიდან ყვარლის რაიონ სოფელ გრემში და ამჟამად 70-ზე მეტ მაცხოვრებელს აერთიანებს.

სემინარების განრიგი:

16 II 2016 სემინარების გამოცხადება "So eas+y / Young European design" 2016

16 II 2016 – 10 III 2016 12.00 მონაწილეთა რეკრუტირება

12 III 2016 შერჩევის შედეგების გამოცხადება

17 – 22 III 2016 სემინარი "So easy / Young european design" გრემი, საქართველო

23 III 2016 ინკლუზიური სივრცისადმი მიძღვნილი კონფერენცია თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში პოლონელი ექსპერტების მონაწილეობით. დასწრება თავისუფალია.

კონკურსის პირობები

სმენა, გემო, სუნი, შეხება - დააპროექტე & ააშენე ჩვენთან ერთად არქიტექტურული ობიექტი გრემში

როგორ მივიღო მონაწილეობა?

აჩვენე შენი ორი საუკეთესო პროექტი მომზადებული უნივერსიტეტში ან მის გარეთ

ან

წარმოადგინე გრემში ასაშენებელი ობიექტის დიზაინი შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

სმენა, გემო, სუნი, შეხება - დააპროექტე ობიექტი ამ გრძნობიდან ერთ-ერთის საფუძველზე

სემინარები დაფინანსებულია პოლონეთის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პროგრამის „პოლონეთის კულტურის პოპულარიზაცია საზღვრებს გარეთ პრომესა 2016“ ფარგლებში.

შიდა კუბური მოცულობა უნდა იყოს 3x3x3 მ;

დამზადებული უნდა იყოს ნატურალური მასალისგან;

იაფი;

მარტივი და სწრაფად ასაწყობი;

შესაძლებელი უნდა იყოს მისი გამოყენება მომავალში;

უნდა იყოს გამოსადეგი და ფუნქციური;

ადაპტირებული უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე;

ობიექტი უნდა ემსახურებოდეს ადგილობრივ საზოგადოებას;

უნდა იყოს ესთეტიური;

ობიექტი არ უნდა საჭიროებდეს ფუნდამენტის მშენებლობას (მიწის სამუშაოებს).

წარმოდგენილი ნამუშევრების საფუძველზე მოხდება 4 საუკეთესო ავტორის შერჩევა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ სემინარებში "So eas+y / Young European design" გრემში. განსახორციელებელი კონცეფცია შემუშავდება ერთობლივად სემინარების განმავლობაში მონაწილეთა იდეებისა და არქიტექტორების "know-how"-ს საფუძველზე.

მოთხოვნები:

ხშირად დასმული კითხვები

- **რა უნდა გამოვაგზავნო?**
  გამოაზავნე სრულმასშტაბიანი ნახაზი თქვენი 2 საუკეთესო პროექტის ან გრემში ასაშენებელი ობიექტის ელ-ფოსტის შემდეგ მისამართებზე: soeastyworkshop2016@gmail.com. და imnadzenino@gmail.com!
- **როდის იხურება განაცხადის შეტანის ვადა?**
  2016 წლის 10 მარტს ან გამოაგზავნე ნახაზები ახლა!
- **ხარ პირველ თუ დამამთავრებელ კურსზე?**
  ამას არ აქვს მნიშვნელობა!
- **რა ფორმატში უნდა იყოს სრულმასშატბიანი ნახაზი?**
  როგორც იქნება მოსახერხებელი!

სემინარები დაფინანსებულია პოლონეთის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პროგრამის „პოლონეთის კულტურის პოპულარიზაცია საზღვრებს გარეთ პრომესა 2016“ ფარგლებში.

- **რა ზომის უნდა იყოს ფაილი?**
  უმჯობესია დაზიპული ფაილი, რომელიც არ აღემატება 5 მბ-ს
- **შესაძლებელია განვათავსო ფაილი google drive, dropbox ან skydrive-ზე?**
  რათქმაუნდა! გამოგვიგზავნეთ ბმული.
- **შეგიძლია ჩაქუჩის ხმარება?**
  შესანიშნავია! ჩვენ შენ გვჭირდები!
- **შემიძლია გამოვაგზავნო მოდელების სურათები ან სემინარების სურათები, სადაც ვიღებდი მონაწილეობას?**
  გადმოგვიგზავნე რაც გსურს!
- **ვის შეუძლია მონაწილეობის მიღება?**
  საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს.

ნამუშევრები უნდა გაიგზავნოს ელ-ფოსტაზე soeastyworkshop2016@gmail.com. და ჯგუფის მენტორთან imnadzenino@gmail.com 10 მარტამდე შუადღის 12 საათამდე.

სემინარები დაფინანსებულია პოლონეთის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პროგრამის „პოლონეთის კულტურის პოპულარიზაცია საზღვრებს გარეთ პრომესა 2016“ ფარგლებში. გრანტი მოპოვებულია და პროექტს ახორციელებს პოლონეთის განვითარების პოლიტიკის ფონდი.

პროგრამის ფარგლებში მოხდება შემდეგი ხარჯების დაფარვა:

- სემინარის მონაწილეთა განთავსებისა და კვების ხარჯები თემში, გრემში.

- თბილისი-გრემის მიმართულებით ორივე გზის ტრანსპორტირება;

-მონაწილეთა საინფორმაციო ნაკრები;

- საორგანიზაციო და საგანმანათლებლო აქტივობები გრემში.

დამატებითი შენიშვნები:

სემინარები ჩატარდება ინგლისურ ენაზე;

სემინარები დაფინანსებულია პოლონეთის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პროგრამის „პოლონეთის კულტურის პოპულარიზაცია საზღვრებს გარეთ პრომესა 2016“ ფარგლებში.

შეიძლება მოთხოვნილ იქნას მონაწილეთა მიერ საკუთარი ნივთების წამოღება: მაგ.: პატარა ხერხი, ჩაქუჩი და სხვა. ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა მასალა იქნება შერჩეული საინსტალაციო ვორკშოფისთვის.

იხილეთ ბმულები ჩვენი პროექტების შესახებ:

www.fpr.org.pl

http://www.plus48.com.pl/

http://temi-community.com/

სემინარები დაფინანსებულია პოლონეთის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პროგრამის „პოლონეთის კულტურის პოპულარიზაცია საზღვრებს გარეთ პრომესა 2016“ ფარგლებში.